ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №2429

ქ. ბათუმი, 18 დეკემბერი 2017 წ

საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალ-დარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 47-ე მუხლის მე-8, მე-12 - მე-14 ნაწილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. თვითმმართველი ერთეულისათვის (მუნიციპალიტეტისათვის) მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები;

ბ) შპს „სანდასუფთავება“-ს თანამშრომლები;

გ) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე.

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს. ასეთ შემთხვევაში ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და დამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება საქართველოს

კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

4. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლოს მიერ განხილვის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებზეც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იქნა წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ორგანიზაციების თანამშრომლების მიერ (გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეებისა), სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს ამ ორგანიზაციების შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებზეც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეების მიერ, სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიულმა განყოფილებამ. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს საქმის სასამართლოში განხილვის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიულ განყოფილებას, მიაწოდოს შესაბამისი მასალები და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების მოთხოვნისას უზრუნველყოს სამართალდარღვევათა ოქმის შემდგენი პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

5. წინამდებარე ბრძანების საფუძველზე გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) წარმოებაზე და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი) ან/და იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი), სადაც მუშაობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი‘‘-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 21 იანვრის №38 ბრძანება.

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი